გენდერული განსხვავებები აღზრდის მიდგომების შესახებ შეხედულებებში

კიკაძე სოფიკო

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო კიკაძე

17.06.2021

აბსტრაქტი

ოჯახი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაში. ბავშვის აღზრდის შესახებ მშობლების შეხედულებები და მიდგომები მნიშვნელოვან კავშირშია, თუ როგორ განვითარდება მოზარდი და მომავალში რა პიროვნული მახასიათებლები ჩამოუყალიბდება. კვლევების უმეტესობაში ნაკვლევია მოზარდის მხრიდან აღქმული მიდგომები და აქცენტია მათ შემდგომ გავლენაზე. წინამდებარე ნაშრომში ვიკვლიე განსხვავდება თუ არა ზრდასრულთა შეხედულებები აღზრდის მიდგომებთან დაკავშირებით სქესის ან ბავშვის ყოლის მიხედვით. კვლევაში შევისწავლე შეხედულებები აღზრდის სამი მახასათებლის შესახებ: ავტონომიური მხარდაჭერა, დირექტიული კონტროლი და ფსიქოლოგიური კონტროლი. ასევე, გამოვიყენე ბავშვის აღზრდაში მამების ჩართულობის საკვლევი კითხვარი, ამ კუთხით არსებული შეხედულებების საკვლევად. კვლევის შედეგებმა სქესის ნიშნით მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოავლინა აღზრდის მიდგომის მახასიათებლების მიმართ შეხედულებებში. კერძოდ, ქალებმა გამოავლინეს მეტი ავტონომიური მხარდაჭერის მიდგომის შეხედულებები, ვიდრე კაცებმა. ხოლო კაცებმა ფსიქოლოგური და დირექტიული კონტროლის მიმართ მეტი მიმღებლობა აჩვენეს, ვიდრე ქალებმა. ბავშვის აღზრდაში მამების ჩართულობის შესახებ შეხედულებებში ამ კუთხით განსხვავება არ გამოვლინდა. ასევე, კვლევამ არ აჩვენა აღზრდის მიდგომების მიმართ შეხედულებებში შვილის ყოლის მიხედვით განსხვავებების არსებობა. თუმცა, კვლევის შედეგად გამოვლინდა განსხვავება სქესისა და მშობლობის ინტერაქციისას. კერძოდ კი, კაცმა არამშობლებმა უფრო მეტი ფსიქოლოგიური და დირექტიული კონტროლის მიმართ შეხედულებები გამოავლინეს, ვიდრე ქალმა არამშობლებმა. მსგავსი განსხვავება არ გამოვლენილა ავტონომიური მხარდაჭერის მიდგომისა და მამების ჩართულობის შესახებ შეხედულებებში. ასევე, მშობლებს შორის განსხვავება სქესის მიხედვით არ გამოვლენილა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ავტონომიური მხარდაჭერა, დირექტიული კონტროლი, ფსიქოლოგიური კონტროლი, მამების ჩართულობა, გენდერული განსხვავებები.

Abstract

The family plays an important role in shaping a person's personality. Parents' views and approaches to raising a child are significantly related to how the adolescent develops and what personal characteristics he/she will develop in the future. Most studies, examine the approaches perceived by adolescents and focus on their subsequent impact. In this research, I explored whether adult attitudes toward parenting approaches differ according to gender or having child. In the study, I explored views on three characteristics of parenting: autonomy support, directive control, and psychological control. I also used the fathers' involvement survey to examine the views in this regard. The results of the study revealed significant differences in views on the characteristics of the parenting approach in terms of gender. In particular, women expressed more views of autonomy support approach than men. While men showed more acceptance of psychological and directive control than women. There was no difference in views on the involvement of fathers in the upbringing of a child in this regard. Also, the study did not show any differences in views on parenting approaches in regard of having child. However, the study revealed differences in gender and having kid interactions. In particular, male who doesn't have a child expressed more views on psychological and directive control than female who doesn't have a child. No similar difference was found in the views on the autonomy support approach and the involvement of fathers. Also, no difference was found between the mother and father by sex.

Key words: Autonomy support, directive control, psychological control, father involvement, gender differences.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული შრომისა და დახმარებისთვის, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ნინო სხირტლაძეს. რომელიც მუდმივად ჩართული იყო კვლევის და ნაშრომის წერის პროცესში, მაძლევდა რჩევებს და რეკომენდაციებს და მეხმარებოდა ყველა სიძნელის დაძლევაში. მისი პროფესიული და ადამიანური დახმარების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის დასრულება.

ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თითოეულ რესპოდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის. მათი ჩართულობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.